საუდის არაბეთის საგარეო პოლიტიკის დეტერმინანტები პალესტინის კონფლიქტის მიმართ ისრაელ-ჰამასის ომის კონტექსტში (2023-2025)

აქსანა ახმედოვა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები: საერთაშორისო ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზარინა ბურკაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

აქსანა ახმედოვა, 20.06.2026.

აბსტრაქტი

2023 წლის 7 ოქტომბერს, ისრაელზე ჰამასის მოულოდნელმა თავდასხმამ პალესტინის საკითხი არაბული სახელმწიფოების დღის წესრიგში დააბრუნა. ომმა რეგიონის წამყვან სახელმწიფოებს, ისრაელსა და საუდის არაბეთს შორის ნორმალიზაციის მოლაპარაკებების შეწყვეტა განაპირობა. არაბებს შორის პროპალესტინური სენტიმენტების გაძლიერების ფონზე, სამეფომ პალესტინის საკითხის მიმართ უპირობო მხარდაჭერა დაადასტურა. თუმცა, საუდის არაბეთის ოფიციალური პოზიცია ისრაელის საწინააღმდეგო ან ჰამასის მხარდამჭერ მკაფიო ქმედებებში არ გადაიზარდა. აღნიშნული კვლევის პრობლემის გათვალისწინებით, სამაგისტრო ნაშრომი მიზნად ისახავდა, შეესწავლა ისრაელ-ჰამასის ომის მიმართ საუდის არაბეთის საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი ფაქტორები. პალესტინის საკითხის მიმართ სამეფოს მიდგომის სიღრმისეული ანალიზისთვის, ასევე შესწავლილ იქნა ისრაელ-არაბთა დაპირისპირების მიმართ რიადის პოლიტიკის ისტორიული განვითარება. კვლევა ეფუძნებოდა თვისებრივ მეთოდოლოგიას და მოიცავდა შემდეგ მეთოდებს: შემთხვევის შესწავლა, სამაგიდო კვლევა, პროცესის მიკვლევა. საწყის ეტაპზე, ისტორიული მიმოხილვის საფუძველზე მიღებული მიგნებები „სახელმწიფო-ერის ბალანსის“ თეორიის ფარგლებში გაანალიზდა. შედეგად, დადგინდა, რომ სახელმწიფოს მშენებლობის პროცესის თანდათანობითმა განვითარებამ საუდის საგარეო პოლიტიკა უფრო პრაგმატული გახადა. შემდგომ ეტაპზე, ისრაელ-ჰამასის ომის მიმართ საუდის საგარეო პოლიტიკა გაანალიზდა „ზებალანსის“ თეორიის ჩარჩოებში. კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ 2023-2025 წლებში საუდის არაბეთის საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავდა რეჟიმის სტრატეგიული ინტერესები. კერძოდ, ისრაელ-ჰამასის ომის მიმართ ალ-საუდის გადაწყვეტილებებზე გავლენას ახდენდა ის შიდა და საგარეო საფრთხეები, რომლებიც აღნიშნულ პერიოდში სამეფოს ემუქრებოდა. კვლევა პალესტინის კონფლიქტის მიმართ საუდის არაბეთის საგარეო პოლიტიკის სიღრმისეული და მრავალმხრივი ანალიზის საშუალებას იძლევა. სამაგისტრო ნაშრომი ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე აქტუალური კონფლიქტის მიმართ რეგიონის ერთ-ერთი წამყვანი აქტორის პოლიტიკის კვლევით სამეცნიერო საზოგადოებას ღირებულ და მნიშვნელოვან მიგნებებს სთავაზობს.

საძიებო სიტყვები: ისრაელ-ჰამასის ომი, საუდის არაბეთის საგარეო პოლიტიკა, ისრაელ-საუდის არაბეთის ურთიერთობების ნორმალიზაცია, ზებალანსის თეორია, აშშ-საუდის არაბეთის ურთიერთობები, ირან-საუდის არაბეთის ურთიერთობები.

Abstract

On October 7, 2023, Hamas' sudden attack on Israel returned the Palestinian conflict to the forefront of Arab states' agendas. The subsequent war led to the suspension of Israeli-Saudi normalization talks. Amid intensified pro-Palestinian sentiment across the Arab world, the Kingdom of Saudi Arabia reaffirmed its unconditional support for the Palestinian cause. However, this official position did not translate into concrete action directed against Israel or in support of Hamas. Taking this puzzle as a starting point, this master's thesis examines the determinants of Saudi Arabia's foreign policy toward the Israel-Hamas war. To provide a deeper understanding of the Kingdom's approach to the Palestinian cause, the thesis also analyzes the historical evolution of Riyadh's policy toward the Arab–Israeli confrontation. The research is based on qualitative methodology and employs case study, desk research, and process tracing. First, the findings from the historical overview are analyzed through the lens of the State-to-Nation Balance theory, which confirms that the gradual development of state-building made Saudi policy more pragmatic. Subsequently, Saudi foreign policy toward the Israel-Hamas war is examined in the framework of omnibalancing theory. The research shows that, in 2023–2025, Saudi Arabia's foreign policy was determined by the ruling regime's strategic interests. In particular, Saudi policy toward the Israel-Hamas war was shaped by the internal and external threats the Kingdom faced during this period. Overall, the thesis offers a deep and multifaceted analysis of Saudi foreign policy toward the Palestinian conflict. By studying the policy of one of the region's leading actors toward one of the Middle East's most critical conflicts, the study provides valuable insights for the academic literature.

Key Words: Israel-Hamas war, Saudi Arabia's foreign policy, Israel–Saudi Arabia normalization, Omnibalancing Theory, US–Saudi Arabia relations, Iran–Saudi Arabia relations.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში გაწეული მხარდაჭერისა და რჩევებისთვის განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ქალბატონ ზარინა ბურკაძეს. ასევე, მადლობას ვუხდი ოჯახის წევრებსა და ბიძაშვილს, ემილია მამედოვას, მუდმივი მხარდაჭერისა და თანადგომისთვის.